საქმე № 010358923900155331

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-05-23 **19 აპრილი, 2023 წელი**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემდეგი შემადგენლობა:

თავმჯდომარე - რევაზ ნადარაია (მომხსენებელი)
მოსამართლეები - ალექსანდრე წულაძე
გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მ--- ჯ--------

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ა-— ბ---------ი
მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ----- ხ----------
დავის საგანი - დისციპლინური სახდელის დაკისრება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 7 თებერვლის №092/22 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 24

ოქტომბერს საჩივრით მიმართა ადვოკატმა ს---–------ ი-------–---მა და მოითხოვა ადვოკატ ა-–- ბ---------ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

საჩივრის მიხედვით, ადვოკატმა ა-–- ბ---------მა სოციალურ ქსელ facebook-ის პირად გვერდზე ს---–------ ი-------–---ის მისამართით გამოაქვეყნა „პოსტი“, რომელიც იყო შეურაცხმყოფელი და არაკოლეგიალური. „პოსტის“ კომენტარებში ა-–- ბ---------ის მეგობრები და ახლობლები მისი მისამართით გამოირჩეოდნენ არაკორექტული და შეურაცხმყოფელი შინააარსის მქონე ტექსტებით.

ს---–------ ი-------–---ის მითითებით, ადვოკატ ა-–- ბ---------ის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებულმა „პოსტმა“ და მიზანმიმართულმა არაეთიკურმა ქმედებამ, გამოიწვია მისი დისკრედიტაცია, შეუმცირა კლიენტთა რაოდენობა და რამდენიმე მსხვილ კომპანიასთან, სადაც მას იურისტის პოზიციაზე უნდა დაეწყო მუშაობა, ჩაუშალა მოლაპარაკებები.

ადვოკატმა ა-–- ბ---------მა 2022 წლის 10 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წარადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივარი იყო უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და ს---–------ ი-------–---ი ასეთი ქმედებით ცდილობდა გაქცეოდა პასუხისმგებლობას.

ა-–- ბ---------მა დაადასტურა წარმოდგენილი facebook „პოსტის“ მისადმი კუთვნილება. მისი მოსაზრებით, ადვოკატი ს---–------ ი-------–---ი ყოველდღიურად არა თუ არღვევდა ეთიკის კოდექსის ნორმებს სხვა ადვოკატთა კლიენტთათვის გარანტიების მიცემით, არამედ ამ საქციელით თაღლითობდა კიდეც, რის გამოც გამართლებულად მიიჩნევდა, რომ მოეხსენებინა “თაღლითად“.

ა-–- ბ---------ის მითითებით, მის მიერ „პოსტის“ გამოქვეყნება გამოიწვია ს---–------ ი-------–---ის ქმედებებმა, მისი მიზანი იყო თავდაცვა და საზოგადოების ინფორმირება ს---–------ ი-------–---ის პიროვნების შესახებ. კერძოდ, ა-–- ბ---------ის დაცვის ქვეშ მყოფი პირის ოჯახის წევრებისაგან ს---–------ ი-------–---მა დიდი ოდენობით თანხა აიღო და კლიენტს მისცა გარანტია, რომ წინასასამართლო სხდომიდანვე გაათავისუფლებდა. ა-–- ბ---------ის მოსაზრებით, მსგავსი „თაღლითური“ შეპირებებით ს---–------ ი-------–---ი ცდილობდა საქმიდან მის ჩამოშორებას და კლიენტის წართმევას. ასევე, ს---–---

--- ი----------ი მის მიმართ იქცეოდა არაკოლეგიალურად, რაც გამოიხატა 2020 წლის 3 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე ს---------- ი----------ის მიმართვაში: „წადი, შენი ადვოკატობა არ უნდათ ოჯახის წევრებს“ - ამით ის ცდილობდა მის დისკრედიტაციას სხდომაზე დამსწრე საზოგადოების თანდასწრებით. ამასთან, 2022 წლის 13 ოქტომბერს, არსებითი განხილვის სასამართლო სხდომის დაწყებამდე, დერეფანში, ადვოკატმა ს---------- ი----------მა და მის მიერ მოტყუებულმა ბრალდებულის პაპამ სცადეს ხელი შეეშალათ ა--- ბ----------ისათვის კლიენტის დაცვის განხორციელებაში. ისინი ადვოკატ ა--- ბ----------ს აიძულებდნენ დაეტოვებინა სასამართლო შენობა და აღარ დაეცვა კლიენტის - ე---------- ბ----------ის ინტერესები. თავად ბრალდებულმა, მისთვის შეკითხვის დასმის შემდეგ, თუ ვის უნდა გაეგრძელებინა მისი წარმომადგენლობა, განაცხადა, რომ მას სურდა ორივე ადვოკატს განეხორციელებინა ნაკისრი ვალდებულებები და დაეცვა მისი ინტერესები.

ადვოკატის პოზიციით, ს---------- ი----------ი ცდილობს მის დისკრედიტაციას და სხვადასხვა მძიმე ფორმით ზეწოლის განხორციელებას. სადავო facebook „პოსტი“ სწორედ ს---------- ი----------ის ამგვარი ქმედებების შედეგია და ემსახურება საკუთარი თავის, სხვა ადვოკატებისა და მარნეულის მოსახლეობის ინტერესების დაცვას. „პოსტი“ აღწერს სიმართლეს და შესაბამისად ჯდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

2022 წლის 8 დეკემბერს, ეთიკის კომიისიის მეოთხე საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა--- ბ----------ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე, რის შემდეგაც საქმე განსახილველად გადაეცა განხილვის კოლეგიას.

განხილვის კოლეგიის მიერ მხარეთათვის შეთავაზებულ მორიგებაზე ს---------- ი----------მა განაცხადა, რომ მისი მიზანი არ იყო კოლეგის დისციპლინირება, მას სურდა, რომ მომავალში საადვოკატო საქმიანობა კოლეგებთან კონფლიქტის გარეშე გაეგრძელებინა და კომისიაში საჩივრის შეტანა ა--- ბ----------ის მხრიდან მომავალში ამგვარი ქცევის აღკვეთას ისახავდა მიზნად, ხოლო ა--- ბ----------მა მიუთითა, რომ შერიგება არ იქნებოდა გულწრფელი და ამასთან, მის მიერ მოყვანილი რეალური ფაქტები აძლევდა მას საშუალებას ადვოკატ ს---------- ი----------ის მიმართ საკუთარი პოზიცია აღნიშნული ფორმით დაეფიქსირებინა.

განხილვის შედეგად სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა–– ბ---------მა საკუთარ facebook გვერდზე გამოაქვეყნა საჯარო „პოსტი“ შემდეგი შინაარსით: „კლიენტებისთვის გარანტიის მიმცემ ს-----ს, შეუჩერდეს ადვოკატის სტატუსი“, ამ სახელწოდებით ვიწყებ კამპანიას და ჩემს მოთხოვნას იზიარებს არაერთი ადვოკატი, რომელსაც ასევე ს-----მ გარანტიის მიცემით წაართვა კლიენტი, ჩემი კლიენტების და თუნდაც სხვა ადამიანების ბედით თამაშს მე არ ვაპატიებ არცერთ თაღლითს, მათ შორის ამ ს-----ს (ს-------- ი-------ს). ვთხოვ ყველა იმ ადამიანს, ვისაც კი შეხებია ს-------ს თაღლითობა, მომმართოს მე. ყველანაირად ვეცდები უზრუნველვყო ს-------ს ადვოკატის სტატუსის შეჩერება, რათა მარნეულში მომუშავე ადვოკატებს და კლიენტებს სისხლი ვეღარ გაუშროს მან.“

ა–– ბ---------ის მიერ facebook გვერდზე, გამოქვეყნებული „პოსტი“ დღეის მდგომარეობითაც ხელმისაწვდომია.

განხილვის კოლეგიის 2023 წლის 7 თებერვლის სხდომაზე ადვოკატმა ა–– ბ---------მა შემდეგი სიტყვებით მოიხსენია ს-------- ი-------ი - „სასოწარკვეთილი ვარ. ესე იგი თქვენ თაღლითის წახალისებისთვის რას არ აკეთებთ“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა–– ბ---------ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი და მე-10 მუხლის პირველი ნაწილი.

კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ვერ იქნებოდა ქმედითი, ვინაიდან ადვოკატი არ ნანობდა საკუთარ საქციელს, რაც საფრთხის ქვეშ აყენებდა პროფესიის სტატუსს. განხილვის კოლეგიამ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საერთო პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, მიუხედავად კომისიის არაერთი მცდელობისა ადვოკატებს შორის შემდგარიყო შეთანხმება, ადვოკატმა ა–– ბ---------მა უარი განაცხადა მხარეებს შორის დავის შეთანხმებით დასრულებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატ ა-–– ბ---------ის მიმართ /სიითი№8078/ დადგინდა დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა **გაფრთხილება.**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 7 თებერვლის №092/22 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა ა-–– ბ---------მა, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან უსამართლოდ დადგინდა მის მიმართ გადაცდომა და უსამართლოდ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. ადვოკატის განცხადებით, მის მიერ facebook „პოსტის“ გამოქვეყნებას წინ უძღოდა ს-–––------ ი-------–---ის არაერთი უკანონო ქმედება, ვინაიდან ის გამუდმებით არღვევდა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებს.

ადვოკატი ა-–– ბ---------ი მიუთითებს, რომ მას ჰქონდა იურიდიული ტერმინი - “თაღლითის“ გამოყენების უფლება და მიაჩნია, რომ ჯდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ა-–– ბ---------ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 7 თებერვლის №092/22 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარ

სადავო საკითხს წარმოადგენს ადვოკატ ა–– ბ---------ის მიერ გამოქვეყნებულმა facebook „პოსტმა“ გამოიწვია თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ ა–– ბ---------მა საკუთარ facebook გვერდზე გამოაქვეყნა საჯარო „პოსტი“ შემდეგი შინაარსით: *„კლიენტებისთვის გარანტიის მიმცემ ს-------ს, შეუჩერდეს ადვოკატის სტატუსი“, ამ სახელწოდებით ვიწყებ კამპანიას და ჩემს მოთხოვნას იზიარებს არაერთი ადვოკატი, რომელსაც ასევე ს-------მ გარანტიის მიცემით წაართვა კლიენტი, ჩემი კლიენტების და თუნდაც სხვა ადამიანების ბედით თამაშს მე არ ვაპატიებ არცერთ თაღლითს, მათ შორის ამ ს-------ს (ს------- ი-------ს). ვთხოვ ყველა იმ ადამიანს, ვისაც კი შეხებია ს-------ს თაღლითობა, მომმართოს მე. ყველანაირად ვეცდები უზრუნველვყო ს-------ს ადვოკატის სტატუსის შეჩერება, რათა მარნეულში მომუშავე ადვოკატებს და კლიენტებს სისხლი ვეღარ გაუშროს მან.“*

აღნიშნული „პოსტის“ ავთენტურობა დაადასტურა თავად საჩივრის ავტორმა. როგორც საჩივარში, ასევე სადისციპლინო პალატის სხდომაზე ა–– ბ---------მა თავდაპირველად მიუთითა, რომ მის მიერ კოლეგის - ს------- ი-------ის მიმართ გამოყენებული ტერმინი „თაღლითი“ ჯდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ასევე მიუთითა, რომ მას ამ ტერმინის გამოყენების როგორც იურიდიული, ასევე მორალური უფლება ჰქონდა და არ მიიჩნევდა, რომ შეურაცხმყოფელია, ვინაიდან, მისი აზრით, აღნიშნული ტერმინი აღწერს ადვოკატ ს------- ი-------ის ცხოვრების წესს. საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ დასახელებული „პოსტის“ გამოქვეყნების მიზეზი გახდა ს------- ი-------ის მხრიდან კოლეგების მისამართით განხორციელებული არაერთი უკანონო ქმედება, კლიენტებისათვის წინასწარ გარანტიების მიცემა აღებული საქმეების შედეგებთან დაკავშირებით და არაჯანსაღი კონკურენციის პირობების შექმნა; მოგვიანებით, სადისციპლინო პალატის სხდომაზე საჩივრის განხილვისას კი საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატმა მეორე ადვოკატს არ უნდა უწოდოს „თაღლითი" და მის მიერ ზემოაღნიშნული ტერმინის გამოყენებით შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო პროფესიული ეთიკის კოდექსი, თუმცა თვლის, რომ ზედმეტად მკაცრი სახდელი განესაზღვრა.

დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების მიზნით, სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები; არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, *ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები,* ხოლო მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, *ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.*

დასახელებული ნორმები ცხადად განსაზღვრავენ ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებული პირების მიერ კოლეგის ღირსების პატივისცემას, ასევე პროფესიული ეთიკის წესების ზუსტად და განუხრელად დაცვისა და ურთიერთპატივისცემის მოვალეობას.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ კონსტიტუციით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების ხელყოფა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე Nდს-შ/7-16).

პალატა მიუთითებს, რომ ადვოკატ ა–– ბ---------ის მიერ Facebook-ზე გამოქვეყნებული „პოსტის“ შინაარსი და სიტყვა „თაღლითი" ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ს---------- ი----------ის არაკეთილსინდისიერებაზე, შესაბამისად, ა–– ბ---------მა აღნიშნული „პოსტით" ნააზრევი გადმოსცა კოლეგისადმი არაეთიკური, შეურაცხმყოფელი შინაარსით და გამოხატა მისადმი უპატივცემულობა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ვერ მოექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რამეთუ ადვოკატი ა–– ბ---------ი არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მას გააჩნია პროფესიული ეთიკის დაცვის ვალდებულება, ამ ვალდებულებების დაცვის ფარგლებში მისი გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და ადვოკატის დისციპლინირების უპირობო საფუძველს ქმნის.

სადისციპლინო პალატა რა თქმა უნდა დასაშვებად მიიჩნევს, რომ ადვოკატმა კოლეგის ქმედებებისა თუ მის მიერ შერჩეული პროფესიული სტრატეგიის თაობაზე, შესაძლოა გააკეთოს გარკვეული შეფასება, გამოთქვას აზრი ან კრიტიკა, თუმცა კრიტიკა არ უნდა გასცდეს ზომიერების ფარგლებს და არ უნდა დაირღვეს ზღვარი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასა და შეურაცხყოფას შორის, რომელმაც თავის მხრივ შესაძლოა გამოიწვიოს პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი არ შეიძლება გახდეს ის გარემოება, რომ ადვოკატის განაწყენება კოლეგის არაეთიკურმა ან არაკანონიერმა მოქმედებამ გამოიწვია. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ კოლეგის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები, სხვა ადვოკატთა ან ბრალდებულთა უფლებები, მას შეუძლია იმოქმედოს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების შესაბამისად, რომლის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი არის ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი თვლის, რომ პირის ქმედების შეფასებისას სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის შემადგენლობა, მისთვის ცნობილია საგამოძიებო ორგანოებისთვის საჩივრით მიმართვის შესაძლებლობის არსებობის შესახებ.

სადისციპლინო პალატის მითითებით, ერთ-ერთ საქმეზე, საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, „საჯაროდ გავრცელება“ არ გულისხმობს ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება, რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული

ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ „პროფაილი“), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს. (იხ. სუსგ N ას-1559-1462-2012, 09.01.2014წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ ადვოკატ ა––– ბ---------ის მიერ სოციალურ ქსელ Facebook-ზე გამოქვეყნებული სადავო პოსტი გავრცელდა საჯაროდ, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა არაერთი ადამიანისთვის, მათ შორის ს-------- ი---------ის კოლეგებისთვის, პოტენციური კლიენტებისთვის თუ პროფესიული კუთხით დაკავშირებული სხვა პირებისთვის, შესაბამისად, სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტაციას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 7 თებერვლის №092/22 გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით, რადგან ადვოკატს გააჩნია პროფესიული ეთიკის ნორმების, სასამართლოსთან, პროცესის მონაწილეებთან და სხვა კოლეგებთან კომუნიკაციის წესის დაცვის ვალდებულება, როგორც სასამართლოს შენობაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

აღსანიშნავია, რომ იდენტურ სამართლებრივ საკითხზე განმარტებები გაკეთებული აქვს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას 2022 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებაში. (საქმე №სსდ-03-22).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა დადასტურებულად მიიჩნევს ადვოკატ ა–– ბ---------ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის ფაქტს.

ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად, დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია (*ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილი*) და მართებულადვე დაეკისრა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მსუბუქი სახდელიც. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ ა–– ბ---------ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ

იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{61} მუხლით, 75^{62} მუხლით, 75^{63} მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75^{64} მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ა––– ბ---------ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 7 თებერვლის №092/22 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **რევაზ ნადარაია**

მოსამართლეები: **ალექსანდრე წულაძე**

გოჩა აბუსერიძე